

შპს „ბურჯიანი“

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური ანგარიშგება	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1. კომპანია და მისი საქმიანობა	10
2. მომზადების საფუძვლები.....	10
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები	17
5. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი	17
6. მსს ფასსზე გადასვლის ეფექტი	18
7. ძირითადი საშუალებები.....	20
8. მარაგები	21
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	21
10. ფული და ფულის ეკვივალენტები	21
11. მიღებული სესხები	22
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	23
13. მიღებული ავანსები	23
14. საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	23
15. კაპიტალი	23
16. შემოსავალი.....	24
17. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	24
18. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	24
19. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	25
20. სხვა არასაოპერაციო ხარჯი	25
21. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი).....	25
22. პირობითი ვალდებულებები.....	26
23. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	26
24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	27
25. მმართველობითი ანგარიშგება.....	28

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბურჯიანის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტიზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ბურჯიანის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“, აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისათვის, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის *მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების* (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის მარაგები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 1,329,518 ლარის ოდენობით. ჩვენ 2025 წლის 4 იანვარს დავესწარით კომპანიის მარაგების ინვენტარიზაციას, თუმცა გამოვლინდა მატერიალური სხვაობები. ჩვენ ვერც ალტერნატიული მეთოდებით შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაბამისი რწმუნება ფინანსურ ანგარიშგებაში 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით წარმოდგენილი მარაგების რაოდენობასა, არსებობასა და მდგომარეობასთან დაკავშირებით. იქიდან გამომდინარე რომ აღნიშნული მარაგები მონაწილეობს 2024 წლის რეალიზაციის თვითღირებულების ფორმირებაში, ჩვენ ვერ დავადგინეთ, საჭირო იყო თუ არა აღრიცხულ თუ აღურიცხავ მარაგების და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების კორექტირება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

კომპანიის მფლობელმა 2018-2022 წლების განმავლობაში განახორციელა საკუთარ კაპიტალში ძირითადი საშუალებების შეტანის და შემდგომ გატანის ოპერაციები. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ აღნიშნული კაპიტალში შეტანის მომენტისთვის ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების შეფასების საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალში შეტანილი ძირითადი საშუალებების ნაშთი შეადგენს 118,593 ლარს. შესაბამისად, ჩვენ ვერ დავადგინეთ, საჭირო იყო თუ არა მიღებული ძირითადი საშუალებების ღირებულების კორექტირება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

აუდიტს წარვმართავდით *აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების* (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“.

ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან *ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს* (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ასევე ჩავატარეთ მე-5 შენიშვნაში წარმოდგენილი მსს ფასსზე გადასვლის ეფექტის შესწორებების აუდიტიც, რომელიც ეხება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას. ჩვენი აზრით მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილი და სწორია. შესაძარის ინფორმაციაზე ჩატარებული აუდიტორული პროცედურები შემოიფარგლება მხოლოდ აღნიშნული შესწორებებით. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა გარემოებები

კომპანიის წინა წლების ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდირებული. მიმდინარე ანგარიშგება - 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, არის პირველი ანგარიშგება რომლის აუდიტიც განხორციელდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. თუმცა, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 510-ის (საწყისი აუდიტის სამუშაოები - საწყისი ნაშთები) მოთხოვნები შესრულებულია იმდენად, რომ დავრწმუნდეთ საწყისი მაჩვენებლები არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წამოვადგენთ მასზე ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასს - ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, რომ ასე არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შვეიცარიული აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებულ ანგარიშზე

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ოთარი ხამხამე, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-372014)

შპს „კორა კონსალტინგი“ (SARAS-F-407186)

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2025

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოეთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებულ ანგარიშზე

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ოთარი ხაზბაძე, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-372014)

შპს „კორა კონსალტინგი“ (SARAS-F-407186)

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2025



შპს „ბურჯიანი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ათას ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 *გადაანგარიშებული	1 იანვარი 2023 *გადაანგარიშებული
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	8,211,635	9,207,660	8,653,161
არამატერიალური აქტივები		1,382	1,880	1,928
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,213,017	9,209,540	8,655,089
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	8	1,329,518	816,052	1,921,061
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	346,022	545,891	503,588
გადახდილი ავანსები		32,318	7,177	11,793
საგადასახადო აქტივი, წმინდა		-	-	90,611
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	7,241	9,396	121,369
სულ მიმდინარე აქტივები		1,715,099	1,378,516	2,648,422
სულ აქტივები		9,928,116	10,588,056	11,303,511
კაპიტალი და ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	11	3,839,379	3,707,008	4,467,008
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,839,379	3,707,008	4,467,008
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	11	1,289,889	1,715,072	833,652
საიჯარო ვალდებულება		8,292	21,608	36,231
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	1,648,732	2,088,328	2,667,568
მიღებული ავანსები	13	657,200	777,267	2,421,241
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	14	256,999	442,933	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,861,112	5,045,208	5,958,692
სულ ვალდებულებები		7,700,491	8,752,216	10,425,700
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	15	6,080,792	6,080,792	6,080,792
დაგროვილი ზარალი		(3,853,167)	(4,244,952)	(5,202,981)
სულ კაპიტალი		2,227,625	1,835,840	877,811
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		9,928,116	10,588,056	11,303,511

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს

დავით რობანიშვილი

დირექტორი

ტარიელი რობანიშვილი

დირექტორი

შენიშვნები 10-27 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მპს „ბურჯიანი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 *გადაანგარიშებუ ლი	1 იანვარი 2023 *გადაანგარიშებუ ლი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	8,211,635	9,207,660	8,653,161
არამატერიალური აქტივები		1,382	1,880	1,928
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,213,017	9,209,540	8,655,089
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	8	1,329,518	816,052	1,921,061
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	346,022	545,891	503,588
გადახდილი ავანსები		32,318	7,177	11,793
საგადასახადო აქტივი, წმინდა		-	-	90,611
ფული და ფულის	10	7,241	9,396	121,369
ეკვივალენტები				
სულ მიმდინარე აქტივები		1,715,099	1,378,516	2,648,422
სულ აქტივები		9,928,116	10,588,056	11,303,511
კაპიტალი და ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	11	3,839,379	3,707,008	4,467,008
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,839,379	3,707,008	4,467,008
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	11	1,289,889	1,715,072	833,652
საიჯარო ვალდებულება		8,292	21,608	36,231
სავაჭრო და სხვა	12	1,648,732	2,088,328	2,667,568
ვალდებულებები	13	657,200	777,267	2,421,241
მიღებული ავანსები	14	256,999	442,933	-
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა				
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,861,112	5,045,208	5,958,692
სულ ვალდებულებები		7,700,491	8,752,216	10,425,700
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	15	6,080,792	6,080,792	6,080,792
დაგრძელებული ზარალი		(3,853,167)	(4,244,952)	(5,202,981)
სულ კაპიტალი		2,227,625	1,835,840	877,811
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		9,928,116	10,588,056	11,303,511

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს

დავით რობანიშვილი

დირექტორი

ტარიელი რობანიშვილი

დირექტორი

შენიშვნები 10-27 გვერდებზე წარმოდგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ბურჯიანი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2024	2023 *გადაანგარიშებული
შემოსავალი	16	11,171,442	12,766,406
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	17	(8,983,074)	(9,909,379)
საერთო მოგება		2,188,368	2,857,027
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(1,576,141)	(933,457)
მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები		(56,728)	(39,760)
საექვო მოთხოვნების რეზერვის (დარიცხვა) / აღდგენა	9	(42,653)	(162,052)
საოპერაციო მოგება		512,846	1,721,758
საპროცენტო ხარჯი	11	(447,349)	(496,496)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	19	132,197	124,168
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	20	(86,333)	(224,337)
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება / (ზარალი)	7	269,725	(43,052)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	21	10,699	(124,012)
მოგება დაბეგრვამდე		391,785	958,029
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება		391,785	958,029
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		391,785	958,029

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს

დავით რობანიშვილი

დირექტორი

ტარიელი რობანიშვილი

დირექტორი

შენიშვნები 10-27 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ბურჯინი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2024	2023 *გადაანგარიშებული
შემოსავალი	16	11,171,442	12,766,406
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	17	(8,983,074)	(9,909,379)
საერთო მოგება		2,188,368	2,857,027
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(1,576,141)	(933,457)
მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები		(56,728)	(39,760)
საეჭვო მოთხოვნების რეზერვის (დარიცხვა) / აღდგენა	9	(42,653)	(162,052)
საოპერაციო მოგება		512,846	1,721,758
საპროცენტო ხარჯი	11	(447,349)	(496,496)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	19	132,197	124,168
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	20	(86,333)	(224,337)
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება / (ზარალი)	7	269,725	(43,052)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	21	10,699	(124,012)
მოგება დაბეგრვამდე		391,785	958,029
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება		391,785	958,029
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		391,785	958,029

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს

დავით რობანიშვილი

დირექტორი

ტარიელი რობანიშვილი

დირექტორი

შენიშვნები 10-27 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ბურჯიანი“
 საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
2023 წლის 1 იანვარი *გადაანგარიშებული	15	6,080,792	(5,202,981)	877,811
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	958,029	958,029
2023 წლის 31 დეკემბერი *გადაანგარიშებული	15	6,080,792	(4,244,952)	1,835,840
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	391,785	391,785
2024 წლის 31 დეკემბერი	15	6,080,792	(3,853,167)	2,227,625

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს

 დავით რობანიშვილი

დირექტორი

 ტარიელი რობანიშვილი

დირექტორი

შენიშვნები 10-27 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ბურჯიანი“
 საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
2023 წლის 1 იანვარი *გადაანგარიშებული	15	6,080,792	(5,202,981)	877,811
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	958,029	958,029
2023 წლის 31 დეკემბერი *გადაანგარიშებული	15	6,080,792	(4,244,952)	1,835,840
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	391,785	391,785
2024 წლის 31 დეკემბერი	15	6,080,792	(3,853,167)	2,227,625

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30
 სექტემბერს

 დავით რობანიშვილი
 დირექტორი

 ტარიელი რობანიშვილი
 დირექტორი

შენიშვნები 10-27 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ბურჯიანი“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	შენიშვნები	2024	2023 *გადაანგარიშებული
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		391,785	958,029
კორექტირებები წმინდა ფულად ნაკადებთან რეკონსილაციისთვის:			
ცვეთა და ამორტიზაცია	7	365,086	428,623
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა (მოგება)/ზარალი	21	(10,699)	124,012
ფინანსური ხარჯი	11	447,349	496,496
ნელა მოძრავი მარაგების რეზერვის წმინდა ცვლილება	8	(33,694)	65,706
საექვო მოთხოვნების რეზერვის (დარიცხვა) / აღდგენა	9	42,653	162,052
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული (მოგება) / ზარალი	7	(269,725)	43,052
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	20	31	31,712
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:			
(ზრდა) / შემცირება - სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, სხვა აქტივების		159,288	(204,357)
(ზრდა) / შემცირება - გადახდილ ავანსებში		(25,142)	4,616
(ზრდა) / შემცირება - მარაგების		(479,772)	1,039,303
შემცირება - სავაჭრო და სხვა ვალდებულებების		(443,290)	(593,012)
(ზრდა) / შემცირება - მიღებულ ავანსებში		(120,067)	(1,643,974)
შემცირება - სალიზინგო ვალდებულებებში		(13,316)	(14,623)
ზრდა / (შემცირება) - წმინდა საგადასახადო ვალდებულებებში		(185,934)	533,544
გადახდილი პროცენტი	11	(465,709)	(496,496)
წმინდა ფულადი ნაკადების მიღებული / (გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობიდან		(641,156)	934,683
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(91,628)	(1,080,453)
ფულადი ნაკადები ძირითადი საშუალებების გასვლიდან		992,760	35,327
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული / (გამოყენებული) საინვესტიციო საქმიანობიდან		901,132	(1,045,126)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	11	2,100,737	1,525,100
სესხების დაფარვა	11	(2,342,838)	(1,507,562)
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული / (გამოყენებული) საფინანსო საქმიანობიდან		(242,101)	17,538
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა		17,875	(92,905)
სავალუტო კურსის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	21	(20,030)	(19,068)
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვარს	10	9,396	121,369
ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბერს	10	7,241	9,396

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს

დავით რობანიშვილი

ტარიელი რობანიშვილი

დირექტორი

დირექტორი

შენიშვნები 10-27 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ბურჯიანი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2024	2023 *გადაანგარიშებული
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		391,785	958,029
კორექტირებები წმინდა ფულად ნაკადებთან რეკონსილაციისთვის:			
ცვეთა და ამორტიზაცია	7	365,086	428,623
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა (მოგება)/ზარალი	21	(10,699)	124,012
ფინანსური ხარჯი	11	447,349	496,496
ნელა მოძრავი მარაგების რეზერვის წმინდა ცვლილება	8	(33,694)	65,706
საექვო მოთხოვნების რეზერვის (დარიცხვა) / აღდგენა	9	42,653	162,052
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული (მოგება) / ზარალი	7	(269,725)	43,052
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	20	31	31,712
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:			
(ზრდა) / შემცირება - სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, სხვა აქტივების		159,288	(204,357)
(ზრდა) / შემცირება - გადახდილ ავანსებში		(25,142)	4,616
(ზრდა) / შემცირება - მარაგების		(479,772)	1,039,303
შემცირება - სავაჭრო და სხვა ვალდებულებების		(443,290)	(593,012)
(ზრდა) / შემცირება - მიღებულ ავანსებში		(120,067)	(1,643,974)
შემცირება - სალიზინგო ვალდებულებებში		(13,316)	(14,623)
ზრდა / (შემცირება) - წმინდა საგადასახადო ვალდებულებებში		(185,934)	533,544
გადახდილი პროცენტი	11	(465,709)	(496,496)
წმინდა ფულადი ნაკადების მიღებული / (გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობიდან		(641,156)	934,683
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(91,628)	(1,080,453)
ფულადი ნაკადები ძირითადი საშუალებების გასვლიდან		992,760	35,327
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული / (გამოყენებული) საინვესტიციო საქმიანობიდან		901,132	(1,045,126)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	11	2,100,737	1,525,100
სესხების დაფარვა	11	(2,342,838)	(1,507,562)
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული / (გამოყენებული) საფინანსო საქმიანობიდან		(242,101)	17,538
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა		17,875	(92,905)
სავალუტო კურსის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	21	(20,030)	(19,068)
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვარს	10	9,396	121,369
ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბერს	10	7,241	9,396

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს

დავით რობანიშვილი

დირექტორი

ტარიელი რობანიშვილი

დირექტორი

შენიშვნები 10-27 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. კომპანია და მისი საქმიანობა

„ბურჯიანი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა (შემდგომში „კომპანია“), რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2017 წლის 8 აგვისტოს. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 417891650. დღ-ს გადამხდელად რეგისტრირებულია ნებაყოფლობით 2018 წლის 21 ივნისიდან.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, გორის რ-ნი, სოფ. კარალეთი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოში ბეტონისა და ბეტონის კონსტრუქციების წარმოება და რეალიზაცია. ასევე 2023 წელს კომპანიამ შეიძინა ინერტული მასალების გადასამუშავებელი დანადგარები და ლიცენზია, მოეწყო კარიერი სადაც ხდება ბალასტის მოპოვება შემდგომი გადამამუშავებისთვის.

2023 წლის 10 იანვრიდან კომპანიის 100% წილის მფლობელია დავით რობანიშვილი. კომპანიის დირექტორები არიან დავით რობანიშვილი და ტარიელი რობანიშვილი.

ბიზნეს გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა მათი ინტერპრეტირება განსხვავებულად ხდება და ისინი ხშირად ექვემდებარებიან ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის განაცხადი

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს პირველ სრულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუკოს („ბასს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2024 საანგარიშო წლისთვის. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის, კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებული იყო ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, რაც სრულად არ აკმაყოფილებდა მსს ფასს-ის მოთხოვნებს. კომპანია გადავიდა მსს ფასს-ის გამოყენებაზე, შესაბამისად მიმდინარე ანგარიშგება კომპანიამ მოაშადა მსს ფასს-ის საფუძველზე, 35-ე განყოფილების „მსს ფასს-ზე გადასვლა“ მოთხოვნების შესაბამისად და გამოიყენა ყველა ის მიდგომა და პოლიტიკა, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის მსს ფასსზე გადასვლის თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 1 იანვარი. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ადრინდელი საფუძვლებიდან მსს ფასს-ზე გადასვლას არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება მოითხოვს წარდგეს სულ მცირე ერთი შესაძარისი პერიოდი, კომპანიამ წარადგინა ორი შესაძარისი პერიოდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის, რაც შესაბამისობაშია მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების მოთხოვნებთან. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულებების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL, ₾), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ყველაზე უკეთ ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის ვალუტას.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

ხელმძღვანელობამ მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება და კომპანიის მაჩვენებლების გათვალისწინებით დარწმუნებულია კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით.

ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
1 USD/GEL	2.8068	2.6894	2.7020
1 EUR/GEL	2.9306	2.9753	2.8844

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“ კატეგორიის მიხედვით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფული და ფულის ეკვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს და მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებას და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღარიბოში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ კლიენტებისგან მიღებული თანხები. თუ თანხების მიღება ერთი წლის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ ვადაში (ან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, თუ უფრო ხანგრძლივია) არის მოსალოდნელი, ეს აქტივები მიმდინარე (მოკლევადიან) აქტივებად აისახება. თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31 – 60	61 - 90	91 - 180	180 - 365	365 <
დარეზერვების პროცენტულობა	0%	2%	10%	25%	50%	100%

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამ ღირებულებაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის ნაწილში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი კაპიტალიზაციას არ ექვემდებარება.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თარიღიდან, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად და ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები (წელი)
შენობა-ნაგებობები	20-50
სატრანსპორტო საშუალებები	10
ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	5-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10
მანქანა-დანადგარები	5-20
ქარხნის აღჭურვილობა	2-10

მარაგები

მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება მთლიანი შესყიდვის ღირებულებით, დამატებული მარაგების ამჟამინდელ ადგილზე და მდგომარეობამდე მიყვანისთვის საჭირო ყველა სხვა ხარჯი. მაგალითად, ტრანსპორტირების, იმპორტის და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი (N5092-III) საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლის ნაწილიც ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე, 2016 წლის 1 ივნისიდან, ხოლო მოგების გადასახადთან დაკავშირებული ცვლილებები კი ძალაში შევიდა 2017 წლის 1-ლი იანვრიდან, რომელიც გავრცელდა საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა.

ცვლილების თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც განაწილებული იქნა საქართველოს რეზიდენტ კომპანიებზე (ვისაც ცვლილება შეეხო). დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი მოგების გადასახადის გამოანგარიშება ხდება განაწილებული თანხის 0.85-ზე გაყოფით. ამასთან, თუ რეზიდენტი საწარმო დივიდენდს განაწილებს 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან, მას უფლება აქვს, ჩაითვალოს ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, მაგრამ არაუმეტეს მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტის მიხედვით გადასახდელი თანხისა. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

ფინანსურ ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოგებაში ან ზარალში ასახვის გზით სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხების და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სესხებს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულება შესრულება ან გაუქმდება ან მოქმედების ვადა დაუსრულებს. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტური სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მიმდინარე ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შემენის პროცესში მიღებული ნებისმიერი დანამატის ან ფასდაკლების, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად პროცენტთან სესხებს მიესადაგება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადახდილი ავანსები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საკონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საკონლოს ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საკონლოს, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

კაპიტალი და დივიდენდები

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. ცვლილება კომპანიის წესდებში (ცვლილება საწესდებო კაპიტალში, მფლობელებში და ა.შ.) მოხდება მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება კაპიტალში იმ თანხით, რაც რეალურად შეტანილი იქნა კომპანიაში მფლობელის მიერ.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში (შენიშვნა 24).

ამონაგები

კომპანიის ამონაგები ძირითადად შედგება ბეტონისა და ბეტონის კონსტრუქციების წარმოებისა და რეალიზაციისგან. ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს დიდი ალბათობა კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის მიღების და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა, იმის მიუხედავად თუ როდის მოხდება თანხის მიღება. ამონაგები აღიარდება მიღებული ან მისაღები თანხის სამართლიანი ღირებულებით, კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდის პირობების გათვალისწინებით, გადასახადების თუ ბაჟის გარეშე. კომპანიამ დაადგინა, რომ ის არის პრინციპული ყველა ამონაგების ხელშეკრულებაში, რადგან ის არის მთავარი მოვალე, აქვს ფასის ცვლილების შესაძლებლობა და ასევე ექვემდებარება მარაგების და საკრედიტო რისკს.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირადად არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები
- წლიური ფასიანი შევსება და ბიულეტენის ანაზღაურება
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განხორციელოს. კომპანია ჩართულია სახელმწიფო საპენსიო ფონდში.

მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც. სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

როგორც განსაზღვრულია მსს ფასს - ით „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს: პირს ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო).

- (ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:
 - (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
 - (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
 - (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან
- (ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:
 - (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მსს ფასს - 2015 წ. მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
 - (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
 - (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
 - (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
 - (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
 - (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
 - (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
 - (viii)(ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

კომპანია ახდენს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენების ასახავს მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში, ხოლო არამაკორექტირებელ მოვლენებს მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე ამჟღავნებს ახსნა-განმარტებით შენიშვნაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავლებსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა და პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების გაუფასურება ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების მიმდინარე ვადები ზემოთ მე-3 შენიშვნაშია მოცემული.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება როგორც განსხვავებულ განმარტებებს, ასევე ხშირ ცვალებადობას. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოების ხედვა კანონმდებლობის რომელიმე ნორმის მიმართ, რომელიც გამოყენებულია კომპანიის მიერ მისი საქმიანობის ფარგლებში და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციების საგადასახადო ადმინისტრირებისას, შესაძლოა არ მოვიდეს თანხვედრაში კანონმდებლობის ხელმძღვანელობის გაგებასთან. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ტრანზაქციები და დაარიცხონ დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და პროცენტები რასაც შესაძლებელია ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა. ხელმძღვანელობის რწმენით, შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია არის შესაფერისი და მოსალოდნელია, რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიცია იქნება მდგრადი.

5. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის

(ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ 2025 წლის 27 თებერვალს გამოუშვა „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ მესამე გამოცემა, რომლის ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულია 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნული ცვლილებები არ იქონიებს არსებით გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. მსს ფასსზე გადასვლის ეფექტი

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს პირველ სრულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს („ბასს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2024 საანგარიშო წლისთვის. შესაბამისად კომპანიის ხელმძღვანელობამ მოახდინა 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის შესადარის ინფორმაციის კორექტირება, მსს ფასს-ის სააღრიცხვო პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოსაყვანად. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მსგავსი სახით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უფრო სწორ სურათს გვაჩვენებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მსს ფასსზე გადასვლის ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაზე:

31 დეკემბერი, 2023	წინა ანგარიშგების მიხედვით	კორექტირება	კორექტირებული თანხა
ძირითადი საშუალებები	9,348,899	(141,239)	9,207,660
არამატერიალური აქტივები	940	940	1,880
მარაგები	862,993	(46,941)	816,052
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	722,365	(176,474)	545,891
გადახდილი ავანსები	-	7,177	7,177
მისაღები დივიდენდები და პროცენტები	69,898	(69,898)	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,569	1,827	9,396
მოკლევადიანი სესხები	(500,000)	(1,215,072)	(1,715,072)
გრძელვადიანი სესხები	(4,900,450)	1,193,442	(3,707,008)
საიჯარო ვალდებულება	-	(21,608)	(21,608)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(2,784,999)	696,671	(2,088,328)
მიღებული ავანსები	-	(777,267)	(777,267)
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	(278,220)	(164,713)	(442,933)
საწესდებო კაპიტალი	(6,184,022)	103,230	(6,080,792)
დაგროვილი ზარალი	3,635,027	609,925	4,244,952

1 იანვარი, 2023	წინა ანგარიშგების მიხედვით	კორექტირება	კორექტირებული თანხა
ძირითადი საშუალებები	8,784,994	(131,833)	8,653,161
არამატერიალური აქტივები	987	941	1,928
მარაგები	1,917,061	4,000	1,921,061
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	515,381	(11,793)	503,588
გადახდილი ავანსები	-	11,793	11,793
მისაღები დივიდენდები და პროცენტები	92,440	(92,440)	-
საგადასახადო აქტივი, წმინდა	163,704	(73,093)	90,611
გრძელვადიანი სესხები	(5,293,654)	826,646	(4,467,008)
საიჯარო ვალდებულება	-	(36,231)	(36,231)
მოკლევადიანი სესხები	-	(833,652)	(833,652)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(5,058,573)	2,391,005	(2,667,568)
მიღებული ავანსები	-	(2,421,241)	(2,421,241)
საწესდებო კაპიტალი	(6,184,022)	103,230	(6,080,792)
დაგროვილი ზარალი	4,940,313	262,668	5,202,981

6. მსს ფასზე გადასვლის ეფექტი (გაგრძელება)

2023	წინა ანგარიშგების მიხედვით	კორექტირება	კორექტირებული თანხა
შემოსავალი	(12,771,245)	4,839	(12,766,406)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	8,589,341	1,320,038	9,909,379
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2,325,492	(1,392,035)	933,457
სხვა შემოსავალი	(351,890)	351,890	-
საექვო მოთხოვნების რეზერვის (დარიცხვა) / აღდგენა	-	162,052	162,052
მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები	-	39,760	39,760
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	404,468	(180,131)	224,337
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	(124,168)	(124,168)
საპროცენტო ხარჯი	498,548	(2,052)	496,496
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება / (ზარალი)	-	43,052	43,052
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	-	124,012	124,012

შპს „ბურჯიანი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

7. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა	შენობა- ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	მანქანა- დანადგარები	ქარხნის აღჭურვილობა	დაუმთავრებ ელი მშენებლობა	სულ
საბალანსო ღირებულება									
1 იანვარი 2023	2,088,374	5,654,951	1,045,985	3,185	1,561	473,417	314,395	-	9,581,868
შემოსვლა	82,227	-	326,665	-	421	368,381	218,757	84,002	1,080,453
შიდა მოძრაობა / ტრანსფერი	-	-	-	-	-	84,002	-	(84,002)	-
გასვლა	-	-	(33,602)	-	-	(76,489)	-	-	(110,091)
31 დეკემბერი 2023	2,170,601	5,654,951	1,339,048	3,185	1,982	849,311	533,152	-	10,552,230
შემოსვლა	-	-	-	338	-	57,226	34,064	-	91,628
გასვლა	(82,227)	-	(267,825)	-	(224)	(375,894)	(78,139)	-	(804,309)
31 დეკემბერი 2024	2,088,374	5,654,951	1,071,223	3,523	1,758	530,643	489,077	-	9,839,549
აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება									
1 იანვარი 2023	-	293,307	439,945	1,477	578	77,066	116,334	-	928,707
წლის ცვეთა	-	118,075	151,272	435	424	71,810	73,847	-	415,863
31 დეკემბერი 2023	-	411,382	591,217	1,912	1,002	148,876	190,181	-	1,344,570
წლის ცვეთა	-	118,075	135,714	327	307	51,816	58,348	-	364,587
ცვეთის ამობრუნება	-	-	(31,246)	-	(78)	(34,626)	(15,293)	-	(81,243)
31 დეკემბერი 2024	-	529,457	695,685	2,239	1,231	166,066	233,236	-	1,627,914
წმინდა საბალანსო ღირებულება									
31 დეკემბერი 2023	2,170,601	5,243,569	747,831	1,273	980	700,435	342,971	-	9,207,660
31 დეკემბერი 2024	2,088,374	5,125,494	375,538	1,284	527	364,577	255,841	-	8,211,635

2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებები, რომელზეც კვლავ გამოიყენება. კომპანიის უძრავი ქონების ნაწილი, კერძოდ ბეტონის ქარხანა (წმინდა საბალანსო ღ-ბით 3,675,282 ლარი) დატვირთულია იპოთეკით მესამე პირის სასარგებლოდ.

8. მარაგები

კომპანიის მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	12/31/2024	12/31/2023
ნედლეული და მასალები	721,969	698,824
მზა პროდუქცია	349,701	84,366
დაუმთავრებელი წარმოება	243,564	23
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	46,296	96,837
საწვავი	-	1,708
ნელა მოძრავი მარაგების რეზერვი	(32,012)	(65,706)
სულ მარაგები	1,329,518	816,052

ნელა მოძრავი მარაგების რეზერვს მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
1 იანვარი	65,706	-
დარიცხვა	26,012	65,706
ამოტრიალება	(59,706)	-
31 დეკემბერი	32,012	65,706

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	12/31/2024	12/31/2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	543,399	704,010
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	7,328	3,933
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(204,705)	(162,052)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	346,022	545,891

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
1 იანვარი	162,052	-
დარიცხვა	46,153	162,052
ამოტრიალება	(3,500)	-
31 დეკემბერი	204,705	162,052

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	12/31/2024	12/31/2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	4,546	5,098
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,816	4,256
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	879	42
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	7,241	9,396

შპს „ბურჯიანი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

11. მიღებული სესხები

კომპანიის სესხები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

სესხი	საპროცენტო განაკვეთი	დაწყების თარიღი	დამთავრების თარიღი	ვალუტა	ძირი 12/31/2024	პროცენტი 12/31/2024	სულ ჯამი 12/31/2024	ძირი 12/31/2023	პროცენტი 12/31/2023	სულ ჯამი 12/31/2023
TBC სესხი #7094743-11434039	7%	5/28/2021	6/1/2028	ევრო	-	-	-	225,278	-	225,278
TBC სესხი #7094743-11600747	6%	9/22/2021	9/20/2031	ევრო	729,354	2,090	731,444	864,176	2,476	866,652
TBC სესხი #7094743-11603944	13%	10/5/2021	10/1/2028	ლარი	496,864	-	496,864	626,480	-	626,480
TBC სესხი # 7094743-11748128	14%	3/31/2022	4/1/2027	ლარი	381,310	-	381,310	516,558	-	516,558
TBC სესხი # 7094743-12738248	9%	8/25/2023	10/3/2026	აშშ დოლარი	207,251	1,400	208,651	299,455	2,022	301,477
TBC სესხი #7094743-12798131	8%	9/28/2023	10/5/2024	ევრო	-	-	-	163,642	908	164,550
TBC სესხი #7094743-10814698	4%	12/30/2019	1/10/2030	ევრო	1,158,369	17,061	1,175,430	1,340,671	20,522	1,361,193
TBC სესხი #7094743-10814835	4%	12/30/2019	1/10/2027	ევრო	609,510	8,947	618,457	842,583	12,871	855,454
TBC სესხი #7094743-12798130	15%	9/28/2023	3/5/2024	ლარი	-	-	-	400,000	4,438	404,438
TBC სესხი #7094743-13793993	8%	10/18/2024	10/20/2027	ევრო	153,315	418	153,733	-	-	-
TBC სესხი #7094743-13898153	15%	11/21/2024	4/20/2025	ლარი	300,000	1,479	301,479	-	-	-
შპს საინჟინრო სისტემები					837,500	-	837,500	100,000	-	100,000
შპს ტეტრა-ტრანს					224,400	-	224,400	-	-	-
სულ მიღებული სესხი					5,097,873	31,395	5,129,268	5,378,843	43,237	5,422,080
მოკლევადიანი ნაწილი							1,289,889			1,715,072
გრძელვადიანი ნაწილი							3,839,379			3,707,008

მიღებული სესხების ცვლილება 2024 და 2023 წლის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
წლის საწყისი ნაშთი	5,422,080	5,300,659
სესხის მიღება	2,100,737	1,525,100
სესხის ძირის გადახდა	(2,342,838)	(1,507,562)
სესხის პროცენტის ღარიცხვა	410,760	489,407
ღარიცხული პროცენტის გადახდა	(429,120)	(489,406)
საკურსო ზარალი / (მოგება)	(32,351)	103,882
წლის საბოლოო ნაშთი	5,129,268	5,422,080

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	12/31/2024	12/31/2023
სავაჭრო ვალდებულებები	1,083,904	1,648,490
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	311,537	292,915
გადასახდელი ხელფასები	77,695	52,780
საპენსიო შენატანი	161,601	74,743
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13,995	19,400
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,648,732	2,088,328

13. მიღებული ავანსები

კომპანიის მიღებული ავანსები წარმოადგენს მიმდინარე პროექტების ფარგლებში მიღებულ ავანსებს, რომელიც 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 657,200 ლარს და 777,267 ლარს შესაბამისად.

14. საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა

საგადასახადო ვალდებულებები და საგადასახადო აქტივები წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. 2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს წმინდა საგადასახადო ვალდებულება 256,999 ლარის და 442,933 ლარის ოდენობით შესაბამისად.

15. კაპიტალი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 6,080,792 ლარის შესაბამისად.

2024 და 2023 წლების განმავლობაში კომპანიას არ გამოუცხადებია და არ გაუცია დივიდენდი.

16. შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
შემოსავალი ბოძების რეალიზაციიდან	6,208,367	4,331,729
შემოსავალი ბეტონის რეალიზაციიდან	4,282,936	5,686,512
შემოსავალი ბეტონო ტუმბოს მომსახურებიდან	234,160	176,427
შემოსავალი სამშენებლო მომსახურებიდან	122,034	2,357,925
სხვა საოპერაციო შემოსავალი	335,396	213,813
გაყიდული საქ. დაბრუნება და ფასდათმობა	(11,451)	-
სულ შემოსავალი	11,171,442	12,766,406

17. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
ძირითადი მასალების ხარჯი	6,347,740	7,554,288
შრომის ანაზღაურების ხარჯი	1,606,672	1,247,981
ტრანსპორტირების ხარჯი	457,800	516,369
ცვეთის ხარჯი	345,454	398,577
კომუნალური ხარჯები	137,554	114,609
დამხმარე მასალების ხარჯი	63,949	23,135
საწვავის ხარჯი	28,386	27,096
სხვა	9,819	42,319
საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	(14,300)	(14,995)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	8,983,074	9,909,379

18. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
შრომის ანაზღაურების ხარჯი	751,252	296,450
რემონტის ხარჯი	435,217	242,789
საწვავის ხარჯი	134,220	97,250
ქონების გადასახადი	75,153	77,350
ბანკის საკომისიო	22,141	17,721
მიღებული მომსახურება	20,654	-
ცვეთა და ამორტიზაცია	19,632	30,046
კომუნალური ხარჯი	11,709	1,048
სამეურნეო ხარჯი	-	109,427
სხვა	106,163	61,376
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	1,576,141	933,457

19. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

კომპანიის სხვა არასაოპერაციო შემოსავალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
საპროცენტო შეღავათი	72,491	123,111
ნელა მომრავი მარაგების რეზერვის ამოტრიალება	59,706	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	1,057
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	132,197	124,168

20. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

კომპანიის სხვა არასაოპერაციო ხარჯი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
ნელა მომრავი მარაგების ხარჯი	60,290	124,840
საბიუჯეტო ჯარიმები და საურავები	26,012	65,706
ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ხარჯი	31	31,712
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-	2,079
სულ არასაოპერაციო ხარჯი	86,333	224,337

21. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)

კომპანიის კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი) 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
საკურსო მოგება/(ზარალი) ფინანსური ვალდებულებებიდან	32,351	(103,882)
საკურსო მოგება/(ზარალი) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან	2,072	(2)
საკურსო მოგება/(ზარალი) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებიდან	(3,694)	(1,060)
საკურსო მოგება/(ზარალი) ფულისა და ფულის ექვივალენტებიდან	(20,030)	(19,068)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	10,699	(124,012)

22. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მეტრიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

23. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს, და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილია ქვემოთ:

ნაშთები:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	ურთიერთობის ტიპი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	დირექტორი	17,100	23,724
სულ აქტივები		17,100	23,724
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	საერთო კონტროლის ქვეშ	1,061,900	100,000
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ	დირექტორი	312,007	292,915
სულ ვალდებულებები		1,373,907	392,915

ოპერაციები:

სრული შემოსავლის ანგარიშგება	ურთიერთობის ტიპი	2024	2023
შემოსავალი	საერთო კონტროლის ქვეშ	122,034	2,357,925
სარეთო და ადმინისტრაციული ხარჯები	დირექტორი	344,199	113,733

23. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შედის თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელოებში:

	2024	2023
ხელმძღვანელობის და მმართველი რგოლის შრომის ანაზღაურება	344,199	113,733

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

შპს „ბურჯიანი“
ს/კ 417891650
მის: საქართველო, გორი, სოფელი
კარალეთი

Burjiani LLC
IN: 417891650
Address: Karaleti Gori Georgia

შპს „ბურჯიანი“
2024 წლის
მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

„ბურჯიანი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შემდგომში „კომპანია“), რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2017 წლის 8 აგვისტოს შემდეგი ნომრით: 417891650.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, გორი, სოფელი კარალეთი.

კომპანიის დირექტორები არიან დავით რობანიშვილი და ტარიელ რობანიშვილი.

2024 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელი არის დავით რობანიშვილი, საქართველოს და რუსეთის მოქალაქე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასაქონლო ბეტონის და ბეტონის კონსტრუქციების წარმოება, სპეცტექნიკით მომსახურება. კომპანიის ძირითად მიზანს წარმოადგენს ის რომ მიაწოდოს ხარისხიანი პროდუქცია და მომსახურება სამშენებლო სფეროში.

ბაზრის მიმოხილვა და კომპანიის ადგილი

კომპანია „ბურჯიანი“ წარმოადგენს ერთ-ერთ სტაბილური მიმწოდებელს შიდა ქართლში და ლიდერია ბაზარზე სამშენებლო სექტორში.

კომპანია ბურჯიანს ბაზარზე გამოარჩევს:

- კომპანიის სტაბილურობა და საიმედოობა;
- ბიზნესის მართვაში თანამედროვე ინსტრუმენტებისა და სტანდარტების დანერგვა;
- კომპანიის გამართული შიდა მენეჯმენტი;
- პროდუქციით უწყვეტი მომარაგება რეგიონის და მთელი საქართველოს მასშტაბით;
- სტაბილური ფასები;
- პროდუქციის და მომსახურების უმაღლესი ხარისხი;
- კომპანიის მენეჯმენტის მრავალწლიანი გამოცდილება სამშენებლო სფეროში

ყველა ეს ფაქტორი ერთობლიობაში განაპირობებს „ბურჯიანის“ წინსვლასა და წარმატებას.

კომპანიის ხედვა და მიზნები, განვითარების გეგმები

კომპანიის „ბურჯიანის“ მიზანია მომხმარებლებთან გრძელვადიანი პარტნიორული თანამშრომლობის ჩამოყალიბება. კომპანიას მიაჩნია, რომ უნდა იყოს მომწოდებლებთან, მომხმარებლებთან ურთიერთობაში პატიოსანი და ეთიკური პარტნიორი. იგი თვლის, რომ წარმატება და კმაყოფილება მოაქვს მხოლოდ ბიზნეს ეთიკის პრინციპების დაცვით საქმიანობას და პროფესიონალიზმის, პატიოსნებისა და სამართლიანობის უმაღლესი დონის შენარჩუნებას.

კომპანიის წარმოდგენით მისი წარმატების მთავარი საფუძველი არის თანამშრომელთა მოტივირებული გუნდი და სწორი კორპორატიული კულტურა.

თითოეული თანამშრომელი ვალდებულია პასუხისმგებლობით მოეკიდოს თანამშრომლების, კლიენტების და საზოგადოების მოთხოვნებს.

კომპანიაში მიაჩნიათ, რომ ყველა ერთად ქმნის წარმატებას.

კომპანიას მიაჩნია, რომ ტოპ-მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის განვითარების მთლიანი სურათის დანახვაზე, თანამშრომლებისთვის კომფორტული სამუშაო რეჟიმის შექმნაზე და ხელფასების ზუსტად და დროულად გაცემაზე,

შპს „ბურჯიანის“ საქმიანი კავშირები დაფუძნებულია პროფესიულ, კოლეგიალურ და არადისკრიმინაციულ პრინციპებზე, ურთიერთპატივისცემაზე და ურთიერთხელშეწყობაზე.

კომპანიის კორპორაციული კულტურა გულისხმობს, რომ ყველა აღიქვამდეს თავს სრულფასოვან თანამშრომელად, რომ იყოს ეფექტური გადაწყვეტილებების სწრაფად მიღების შესაძლებლობა, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი დელეგირება, რომ იყოს სიახლეებისა და ცვლილებებისადმი სწრაფად ადაპტირების საშუალება, რომ თითოეული თანამშრომელი გრძნობდეს სამართლიანობას, რომ არ იყოს პრივილეგირებული თანამშრომელი და რომ კომპანიაში არსებობდეს პროფესიული სრულყოფის, კარიერული და ფინანსური წინსვლის საშუალება.

ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების შესახებ

კომპანიას არ აქვს ფილიალები.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანიაში დანერგილია თანამშრომელთა უწყვეტი განვითარების პროგრამა, რაც გულისხმობს თანამშრომლებისთვის სხვადასხვა ტრენინგების და კურსების დაფინანსებას.

კომპანიის ზრდა-განვითარებასთან ერთად ხდება, არსებული კონტროლის და მართვის სისტემების ანალიზი და ახალ მოცემულობებთან შესაბამისობისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

კომპანიის სტრუქტურა და კომპანიაში დასაქმებულები

კომპანია «ბურჯიანის» სათაო ოფისი მდებარეობს გორში.

ქარხანა და საწყობები განთავსებულია სოფელ კარალეთში.

საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 74-ს.

კომპანიის დასაქმებულთა ნაწილი ი დაზღვეულია სს სადაზღვეო კომპანია „ირაო“-ში, რისთვისაც კომპანია ყოველთვიურად იხდის განსაზღვრულ თანხას.

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2023 წლის საანგარიშო პერიოდში წლის საოპერაციო შემოსავალმა შეადგინა 1,721,758 ლარი, წმინდა მოგებამ შეადგინა 958,029 ლარი.

2024 წლის საანგარიშო პერიოდში წლის საოპერაციო შემოსავალმა შეადგინა 512,846 ლარი, წმინდა მოგებამ შეადგინა 391,785 ლარი.

კომპანიის რენტაბელობის მაჩვენებლები შემდეგია:

	2024	2023
საერთო მოგების მარჟა	20%	22%
წმინდა მოგების მარჟა	4%	8%
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.44	0.27
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.10	0.11
მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი	(2.10)	(1.81)

რისკების ანალიზი

სავაჭრო რისკები

ნედლეულის ფასის ზრდა მომწოდებლების მიერ - ინერტული მასალების, ცემენტის, ასევე არმატურის და ლითონის ბაგირის ფასის ზრდა გამოიწვევს მომგებიანობის შემცირებას რაც დაკასირებულია დამატებით ფინანსურ რისკებთან.

გასაყიდ პროდუქციაზე ფასის ვარდნა -პროდუქციაზე ფასის შემცირება გამოიწვევს მომგებიანობის შემცირებას, რაც დაკავშირებულია დამატებით ფინანსურ რისკებთან.

კომერციული რისკი

ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო პროდუქციის მოწოდების შეჩერება უცხოელი ან ადგილობრივი მომწოდებლებისაგან

ამ მიზნით კომპანია ახდენს საწყობში მარაგების ოპტიმიზაციას და შესაძლო რისკებთან მიმართებაში საჭირო სხვა ღონისძიებებს.

სტრატეგიული რისკი

დაგეგმილი ზრდა მოითხოვს მნიშვნელოვანი ადამიანური და მატერიალური რესურსების მობილიზებას, რომლის დეფიციტიც არის ბაზარზე. რესურსებზე ხელმოუწევდომლობა შეაფერხებს გეგმების რეალიზებას.

ამ მიზნით კომპანიის მენეჯმენტის მიზანია მუდმივი ოპტიმიზაცია, ინსტიტუციონალური ზრდის უზრუნველყოფა, რესურსების წყაროების დივერსიფიკაცია.

ფინანსური რისკი

ფინანსურ რისკებს შორის განსაკუთრებით გამოსაყოფია:

- ნაღდი ფულადი სახსრების დეფიციტი
- სავალუტო რისკები
- ამ რისკების შესამცირებლად, კომპანია აწარმოებს საბიუჯეტო პოლიტიკას, აუმჯობესებს დაგეგმარებას და ხარჯების კონტროლს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოსაწერად ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი /ტარიელ რობანიშვილი/

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2025

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოსაწერად ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი /ტარიელ რობაწიშვილი/

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2025

